

**აზიის განვითარების ბანკის
საქართველოს წარმომადგენლობის უფროსს
ბატონ გიორგი კიზირიას**

აზიის განვითარების ბანკის საქართველოს
წარმომადგენლობის განსახლების სპეციალისტს
ბატონ მედგარ ჭელიძეს

თბილისში, ბაგებში, სტუდენტულ ქუჩაზე
მე-5 კორპ. ბ.1131-ში მცხოვრები
(ტელ: 555 97 24 88)
კახა ბეჭვასია

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

მოგახსენებთ, რომ 2009 წლის 1 მაისიდან თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზატკეცილის მე-20 კილომეტრზე (0.2 კმ-ზე მარცხნივ) მდებარე ბენზინგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ვკირაობდი 25.198 კვ.მ ფართობის ტერიტორიას საავტომობილო ზეთების მაღაზიისთვის. თავდაპირველად ბენზინგასამართ სადგურს ფლობდა კომპანია „სენტა“ და უვადო საიჯარო ხელშეკრულებაც „სენტასთან“ მქონდა დადებული. 2011 წ. მარტიდან ბენზინგასამართს შეეცვალა მფლობელი - მფლობელი გახდა „გალფი“; შესაბამისად, საიჯარო ხელშეკრულებაც გავაფორმე „გალფთან“, იმ განსხვავებით, რომ გალფთან საიჯარო ხელშეკრულება ახლდებოდა ყოველ სამ თვეში ერთხელ.

2011 წ. სექტემბერი-ნოემბრის განმავლობაში ბენზინგასამართ სადგურზე ტარდებოდა სარემონტო სამუშაოები. ამ პერიოდში მაღაზიასაც ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. რემონტის შემდეგ, ბენზინგასამართმა სადგურმა და მაღაზიამაც განაახლა ოპერირება.

როგორც აღმოჩნდა, ბენზინგასამართი სადგური მოექცა თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის თბილისი-ფონიჭალა და ფონიჭალა-რუსთავის მონაკვეთის პროექტის ზეგავლენის ქვეშ. პროექტის გამო, 2012 წ. აგვისტოს დასასრულს ბენზინგასამართმა სადგურმა შეწყვიტა ოპერირება და შესაბამისად, ამ დროიდან შეუძლებელი გახდა მაღაზიის ოპერირებაც.

ჩემთვის ცნობილია, რომ პროექტის „მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (LARP-III): მონაკვეთი 3 (კმ 10.5 – 17.1) ფონიჭალა-რუსთავი“ თანახმად, კომპენსაციის მიღებისთვის უფლებამოსილი არიან დამქირავებლები და მოიჯარე-მეწილეები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი რეგისტრირებული. ასევე, ამავე გეგმის თანახმად, ბიზნესის სამუდამოდ დაკარგვის შემთხვევაში, ფულადი ანაზღაურება გაიცემა 1 წლის შემოსავლის ოდენობით. გეგმა ასევე ითვალისწინებს ტრანსპორტირების (გადაადგილება/გადაზიდვა) ხარჯების კომპენსირებასაც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის თბილისი-ფონიჭალა და ფონიჭალა-რუსთავის მონაკვეთის პროექტით ჩემთვის მოყენებული ზიანის კომპენსაციის საკითხი და გადამიხადოთ შესაბამისი კომპენსაცია მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის და აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის მოთხოვნათა შესაბამისად.

კახა ბეჭვასია
2012 წ. 12 სექტემბერი